დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 148 სამშაბათი, 7 ივლისი 1909 წ. № 148

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, [illegible] დაუ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

გიორგი მიხეილის ძე და ეკატერინე დავითის ასული გომელაურები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას: პირველი ორი—საყვარელ შვილის, ხოლო დანარჩენნი—დაუვიწყარ ძმის, ტფ. პირველ გამნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

ილიკო გომელაურისას.

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში 7 ივლისს, დილის 9 საათზე (1—328—1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი ჯაპაშვილისა. (უ)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თოროზოვისა

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—3)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოროჩნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—187)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—4)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდაა ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—10)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ნ. 105)

ჭიათურის ქალთა

პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღებიან მოსწავლენი 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. (4—ფ.—1)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფელდროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
- **ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—102)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხვ მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—4)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—119)

იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.**

(50—ნ.—11)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—60)

გაფრთხილება სავაჭრო სახლის

„ნ. ი. ბოზარჯიანც შვილებითურთ-"საგან

ვიღაც პ. ი. ვაგანოვი თავის თავს სავაჭრო სახლის „ნ. ი. ბოზარჯიანც შვ.-თ"-ის წარმომადგენლად აცხადებს, დადის ქალაქებში, კისრულობს თამბაქოს ნაწარმოების მიწოდებას და ხშირად ბეღ ფულსაც იღებს. ამ დღეებში განჯიდან ბ-ნ ალა ახუნდოვისაგან ცნობა მოგვივიდა, საიდანაცა სჩანს, რომ ახუნდოვს ბეღ 25 მანეთი მიუცია და ამ რიგად თავის გულ-უბრყვილობის წყალობით უზარალნია. ვაგანოვს სადარბაზო ბარათიცა ჰქონია ასეთის წარწერით: „ს. ს. ნ. ი. ბოზარჯიანცის ფაბრიკის წარმომადგენელი".

საჭიროდა ვცნობთ ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას ეს გარემოება და გავაფრთხილოთ, არ დაუჯერონ სავ. სახლის მატყუარა წარმომადგენელთ, რომელთა მოქმედებისთვის ფირმა პასუხს ვერ აგებს. ფირმა პასუხს აგებს მხოლოდ იმ პირთათვის, რომელნიც წარადგენენ ნამდვილ რწმუნების ქაღალდებს.

(2—1004—2) სავაჭრო სახლი **„ნ. ი. ბოზარჯიანც შვ.—რთ".**

ტფილისი, 7 ივლისი

ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი კვლავ ალაპარაკდნენ ერობაზე, კვლავ ამოძრავდნენ საერობო საკითხის გარშემო.

ეს მეორედ ალაპარაკდა საზოგადოება ერობაზე თვით მთავრობის გამოწვევით; პირველად — რამდენისამე წლის წინად, როცა კავკასიის ნამესტნიკად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. განსხვავება ამ ორ მომენტს შორის—მაშინდელსა და ეხლანდელს შორის—დიდია. მაშინ განმათავისუფლებულ მოძრაობის ტალღა მაღლა და ძლიერად სცემდა, მთელი რუსეთი ძირითად განახლების მოლოდინში სცოცხლობდა, დღე-დღეზე მოელოდა ღრმა პოლიტიკურსა და სოციალურს რეფორმებს. ამის მიხედვით მაშინ ერობა მეორე ხარისხოვანი საკითხი იყო, რომლის შესახებ ბევრი საჭიროდაც არ სთვლიდა ლაპარაკს, ხოლო ვინც ლაპარაკობდა, სცდილობდა საკითხის გაღრმავებას და ისეთს ერობის პროექტებს თხზავდა, რომელიც პოლიტიკურ ავტონომიას უდრიდა უფრო, ვიდრე ადგილობრივ სამეურნეო თვით-მმართველობას… ეხლა სულ სხვაა: ძირითად განახლების იმედი უმოწყალოდ დაიმსხვრა და საშინლად გადიდვა, გამეფდა ბნელი სინამდვილე, როცა არა თუ ავტონომია, ცოტად თუ ბევრად ფართო საერობო თვით-მმართველობაც საოცნებო რამ საგნად გადაიქცა. ამით აიხსნება ის გულგრილობა, ის უხალისობა, რომლითაც დღეს ბჭობენ ერობაზე ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი. ყველა თითქმის დარწმუნებულია, რომ მთელ მომავალ ბჭობასა და კამათს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რომ ზომიერესი პროექტიც დამახინჯებული იქნება ჯერ პეტერბურგის ბიუროკრატიულს ლაბარატორიაში, მერე მესამე სათათბიროში. იქ, სადაც ქალაქ ყარსისთვის განზრახული შემოკლებული საქალაქო თვით-მმართველობა ებევრად და არ მიიღეს, კეთილი ბედი არ მოელის საერობო რეფორმას, თუ იგი ცოტად თუ ბევრად განსხვავებული და დაშორებული იქნება 1890 წლის საერობო დებულებას.

განა ვერ ვხედავთ, რა ყოფაშია საერობო საკითხი თვით შიდა რუსეთში? ჯერ კიდევ ძველ რეჟიმის დროს იქმნა აღიარებული დღევანდელ ერობის სრული უვარგისობა და მისი გადაკეთების აუცილებელი საჭიროება. 1904 წლის 12 დეკემბრის ცნობილს „უკაზში" ნათქვამი იყო, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ადგილობრივ თვით-მმართველობის რეფორმაო. მას შემდეგ გადის აგერ ხუთი წელიწადი, რომლის განმავლობაშიაც შიდა რუსეთის საერობო პრაქტიკა ბევრად გაუარესდა: ერობა ჩაიგდო ხელში „მავრმა" და ბარბაროსულის სიმხეცით ანადგურებს იმ მცირე სიკეთესაც, რომელიც ერობამ დასთესა მე-60 და მე-70 წლებში, რეფორმა-კი არა სჩანს. აღიარებული აუცილებლობა და დაუყოვნებლობა ცარიელი სიტყვა გამოდგა, რომლის მსგავსი ბევრი დაუხარჯავს ძველს ბიუროკრატიას ქვეყნის მოსატყუებლად.

ასეთ პირობებში, ასეთ პოლიტიტურ ვითარების დროს, როგორშიაც დღეს რუსეთია, რაღა გასაკვირველია, თუ საზოგადოება გულგატეხილია და მთავრობის მიერ დაწყებულ საქმეს კომედიათა სთვლის?! ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე: ღირს განა სერიოზული მუშაობა და პროექტების თხზვა, როცა დარწმუნებული ხართ, რომ საქმე ან სრულებით არ იქნება ახლო მომავალში განხორციელებული ან და, თუ იქნება, მარკოვ-ტიმოშკინების სურვილთა და გეგმათა თანახმად განხორციელდებაო? საერთო რწმენაა, რომ არც მთავრობა, არც დღევანდელი სათათბირო არ შეიწყნარებს ისეთ ერობას, რომელიც 1890 წლის ტიპის ერობას დაშორდება. თუ განსხვავება იქნება რამეში, ეს განსხვავება უარესისაკენ იქნება მიმართული და არა უკეთესისაკენ…

ჩვენ ამით ის არ გვინდა ვთქვათ, რომ მუშაობა საჭირო არ არის, რომ საზოგადოებამ გამოწვევაზე უარი სთქვას. არა, რა-კი გვეკითხებიან, საჭიროა პასუხი ვუთხრათ, საჭიროა კიდევ ერთხელ ვამცნოთ—რა გვსურს, რა ერობის შემოღება მიგვაჩნია სასარგებლოდ და საჭიროდ. მაგრამ ის მაინც ცხადად გვესმის, რომ პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ჩვენს პასუხს არავითარი არ ექნება და ნურავის გაუკვირდება, თუ საზოგადოება გულგრილად ეგებება მთავრობის დაძახებას: საკმარისია, რომ კომედიის თამაშობაზე უარს არ ვამბობთ, ხოლო ხალისითა და კმაყოფილებით თამაშს ვერავინ მოგვთხოვს…

ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ივლისი

კელნი. „კელნიშე-ცეიტუნგს" თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: 3 ივლის, ნაშუადღევის 5 საათზე, ლიახოვი მეჯლისში წავიდა საბოლოო მოსალაპარაკებლად. ზავი დასდეს. სპარსელ ყაზახთა ბრიგადას არ დაითხოვენ. სდგება ახალი მთავრობა, რომელშიაც სეპეხდარი სამხედრო მინისტრად იქნება. სეპეხდარივე დაინიშნა თეირანის გენერალ-გუბერნატორად. მან უკვე მისცა პირველი ბრძანება ლიახოვს ქალაქში წეს-რიგის აღდგენის შესახებ. შაჰმა ტახტზე უარი სთქვა. რადგან ტახტის მემკვიდრე ახმედ-მირზა მცირე-წლოვანია, დაინიშნება რეგენტი. ხალხი გახარებულია.

ლონდონი. 3 ივლისის თარიღით რეიტერის სააგენტოს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: „ინგლისსა და რუსის საელჩოების დრაგომანები დილით მეჯლისში იყვნენ. მათ სთხოვეს სეპეხდარსა და სერდარ ასადს—აცნობონ, როგორ მოექცევიან სპარსელ ყაზახთა ბრიგადას. ნაციონალისტების მეთაურებმა აცნობეს, რომ ბრიგადას იარაღი არ აეყრება, მაგრამ ლიახოვი თავის მხრივ სამხედრო მინისტრს დაემორჩილებაო. ჰფიქრობენ შეაერთონ ბრიგადა და ნაციონალისტთა ჯარი საპოლიციო სამსახურისათვის ქალაქში და ბრბოს ასალაგმავად, რომელიც კვლავ განაგრძობს სროლას. უნდა შესდგეს დროებითი მთავრობა, რომელშიაც, სხვათა შორის, შევლენ სეპეხდარი და სერდარ ასადი".

3 ივლისს დილით რუსის ჯარი კაზვინში მივიდა.

ბერლინი. აქაური გაზეთები ბევრსა სწერენ სპარსეთში მომხდარ ამბების შესახებ. ისინი პესიმისტურის თვალით უყურებენ სპარსეთს და ამბობენ, რომ ინგლისს-რუსეთის შეთანხმებას ეხლა დაუდგა გაჭირვების დღეებიო.

„ფოსსიშე-ცეიტუნგი" სწერს: „თუმცა არსებობს ინგლისს-რუსეთის შეთანხმება, მაგრამ ბრძოლა ინგლისისა და რუსეთის გავლენის შორის ახალ რეჟიმის დროს უფრო გამწვავდება, რაიცა ხელს შეუშლის სპარსეთის მშვიდობიან განვითარებასაო."

„ბერლინერ-ტაგებლატის" აზრით, შაჰის მაჰომედ ალის გადაყენებამ ძალიან დაალონა პანისლამისტთა პოლიტიკოსები, რომელნიც ოცნებობდნენ რუსეთის გაფართოვებასაო. გაზეთი ამბობს, სპარსეთის ამბებს დიდი ყურადღება უნდა მიექცესო.

„კელნიშე-ზაიტუნგი" გადაყენებულ შაჰს ბოროტ კაცადა სთვლის. იგი რუსეთსა და ინგლისის ელჩებთან საზიზღარ კომედიას თამაშობდაო. გაზეთის აზრით, ყმაწვილ შაჰის დროს მშვიდობიანობის ჩამოგდება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ხასიათის კაცი გამოდგება ახალი რეგენტი და რამდენად ზომიერად მოიქცევიან ახალ მეჯლისის წევრნი.

თეირანი. 3 ივლისს მოხდა ნაციონალური კრება. მონაწილეობას იღებდნენ მუშტეხიდები, ნოტაბლები და ნაციონალისტთა ჯარის მეთაურები. დაესწრო აგრეთვე დიდძალი ხალხი, რომელმაც თავი მოიყარა მოედანზე მეჯლისის წინა ნაციონალურმა კრებამ შაჰად გამოაცხადა მემკვიდრე პრინცი, რეგენტად დანიშნა აზიდ-ულ-მულკი, რომელის ეხლანდელ სამეფო გვარის კაჯარების მეთაურად ითვლება. სეპეხდარი დაინიშნა სამხედრო მინისტრად და თეირანის გენერალ-გუბერნატორად.

ნაშუადღევს ლიახოვი, მეომარ ბახტიართა თან-ხლებით, მეჯლისში წავიდა. ხალხი სიხარულით ეგებებოდა და იძახდა—„ვაშა ლიახოვსაო". ნაციონალისტების ჯარის მეთაურებმა აცნობეს ლიახოვს, რომ იგი დროებით ყაზახთა ბრიგადის უფროსად დარჩება იმ პირობით კი, რომ მან სავსებით უნდა შეასრულოს სამხედრო მინისტრის ბრძანებანი. ეს ამბავი აცნობეს აგრეთვე ინგლისისა და რუსის საელჩოებს.

შაჰი რუსის საელჩოში გადაბარგებას შეუდგა 3 ივლისს, დილის 8 საათიდან, როდესაც ზერგენდედან მისი ამალა მოვიდა. ნახევარი საათის შემდეგ შაჰი ცხენით შევიდა საელჩოს ბაღში. თან ახლდნენ შვილები. ბაღში შაჰს დახვდნენ რუსეთის ელჩის მოადგილე, საელჩოს წევრნი და კონვოი, რომელმაც სამხედრო სალამი მისცა, შაჰი რუსულად მიეგება კონვოის. ერთი ყაზახი რუსეთის მხრივ და ერთი სიპაი ინგლისის მხრივ ყარაულად დგანან შაჰის დროებით სადგომის წინ. საელჩოზე აფრიალებულია რუსისა და ინგლისის ბაირაღები. მთელი ღამე შაჰის ბარგს და მისს კერძო ქონებას ეზიდებოდნენ სასახლიდან საელჩოში. შაჰთან ერთად ბესტში ჩაჯდა ხუთასამდე კაცი—მისი მახლობელნი, მეომარნი და მოსამსახურენი. ქალაში მშვიდობიანობაა. სერდარ ასადმა და სეპეხდარმა, ყაზახთა ბრიგადის დახმარებით, მხნე ზომები მიიღეს წესიერების აღსადგენად და უცხოელთა დაწესებულებების, ქვეშევრდომთა და რუსის ბანკის დასაცველად ცარცვა-გლეჯისაგან.

6 ივლისი.

თეირანი. 4 ივლისს სეპეხდარმა და სერდარ ასადმა რუსეთის და ინგლისის ელჩებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „დღეს ბახირისტანში შეიკრიბა ეროვნული საბჭო. ეროვნულმა საბჭომ ეხლანდელი შაჰი მაჰომედ-ალი ტახტიდან გადააყენა. ამიტომ საჭიროა, რომ საბჭოს დეპუტაცია შაჰთან მივიდეს და ყველაფერი ეს აცნობოს. რადგან შაჰი ამ ჟამად გაქცეულია და რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ ხვალისთვის უნდა დანიშნოს საათი და მიიღოს დეპუტაცია".

თეირანი. 4 ივლისს დილით შაჰი ტახტიდან გადადგა. რუსეთის ელჩმა შაჰს სეპეხდარის და სერდარ ასადის დეპეშის შინაარსი გადასცა. შაჰმა უარი განაცხადა ეროვნულ საბჭოს დეპუტაციის მიღებაზე. მეო, განაცხადა შაჰმა, ჩემ სასახლეს თავი მივანებე, რუსეთის საელჩოს შევაფარე თავი და ამით თვითონ გადავდექი შაჰობიდანაო. ამასთან შაჰმა მცირე ყოყმანის შემდეგ განაცხადა, თანახმა ვარ ტახტზე ჩემი მემკვიდრე სულთან-ახმედ-მირზა ავიდესო,

5 ივლისი, კერმან-შაჰში არეულობაა. მცხოვრებნი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ. ეს მეორე დღეა, რაც დუქნები დაკეტილია. ქალაქში გახურებული სროლაა. ტყვიები რუსეთის საკონსულოსაც ჰხვდება. აშენებენ ბარიკადებს. გუბერნატორს ძალა არ შესწევს, რომ წეს-რიგი აღადგინოს.

ხამადანიდან 5 ივლისის თარიღით იუწყებიან: ქალაქი რევოლიუციონერების ხელშია. რევოლიუციონერები ჰკრეფენ გადასახადს და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალს ითვისებენ. რევოლიუციონერთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ჯერ-ჯერობით ქალაქში წეს-რიგი არ დარღვეულაო.

5 ივლისს შაჰის მცირე-წლოვანი მემკვიდრე სულთან-ახმედ-მირზა რუსეთის საელჩოდან სალტანეტ-აბადის სასახლეში გადაიყვანეს. აქ მას უმაღლეს საბჭოს დეპუტაციამ შაჰობა მიულოცა.

3 ივლისს კაზვინში მშვიდობიანად მოვიდა რუსის ყაზახთა ლიბანსკი პოლკი. ქალაქის შესავალთან ჯარს დაუხვდნენ რუსეთის კონსული, რუსეთის ქვეშევრდომი, ვაჭრები, ადგილობრივ მცხოვრებთა დეპუტაცია და სხვები. ჯარს სალამი მისცეს სპარსეთის კარგუზარმა და ადგილობრივ პოლიცმეისტერმა. ამავე ჯარს მიუტანეს პურ-მარილი და შემდეგ სადილი გაუმართეს. ჯარი დაბინავდა სეპეხდარის ბაღში, რომელებმაც წინ-და-წინვე ამისი ნება დართო. გადაიხადეს პარაკლისი. ადგილობრივ მცხოვრებლებზე ჯარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ახალი შაჰი და ახალი მთავრობა.

სპარსეთის რევოლიუცია სრულს გამარჯვებით დაგვირგვინდა. რევოლიუციონერებმა მედგარ ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს შაჰის ჯარი, იარაღი დააყრევინეს მას და აიღეს შაჰის სატახტო ქალაქი თეირანი და მისი საზაფხულო რეზიდენცია სოლთან აბადი.

გამარჯვების შემდეგ 3 ივლისს

რევოლუციონერების მეთაურებმა ხელად შეკრიბეს უმაღლესი ეროვნული კრება. კრებამ ტახტიდან ჩამოაგდო მამედ-ალი-შაჰი და მის ნაცვლად შაჰად გამოაცხადა მისი თორმეტი წლის მემკვიდრე ახმედ-მირზა, რომელიც მოვალეა ძველის მეჯლისის შენობაში ფიცი მიიღოს კონსტიტუციის ერთგულებაზე.

ახალ შაჰის მცირე წლოვანობის გამო, ეროვნულმა კრებამ რეგენტად, ანუ სახელმწიფოს მმართველად დანიშნა ყაჯართა გვარის (შაჰის გვარია) უხუცესი აზიდ-ელ-მულკი და ამასთანავე დანიშნა დროებითი მთავრობა. სამხედრო მინისტრად დაინიშნა სეპეხდარი, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრად სარდარ ასადი.

სპარსელ ყაზახებს ყველას ამნისტია გამოუცხადეს და მათი ბრიგადა დატოვეს; დატოვეს აგრეთვე მისი უფროსი ცნობილი პოლკოვნიკი ლიახოვი და ყველა რუსის აფიცერი მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ლიახოვი თავის აფიცრებით დაემორჩილოს სამხედრო მინისტრს სეპეხდარს.

დროებით მთავრობის მაგივრად ამ დღეებში უნდა შესდგეს ახალი სამინისტრო, რომელიც პასუხის მგებელი იქნება მეჯლისის წინაშე.

გახარებული თეირანელები ქუჩებში მანიფესტაციებს ახდენენ და ქება-დიდებას ასხამენ სეპეხდარსა და სარდალ-ასადს.

მოლები მეჩითების მინარეთებიდან უცხადებენ ხალხს, რომ ძველი შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და ახალი შაჰი ავიდა ტახტზეო...

ახალი შაჰი.

ახალი შაჰი სულთან-ახმედ-რიზა მემკვიდრეა მაჰმედ-ალი-შაჰისა; იგი ამ ჟამად 12 წლისაა; რუსული ლაპარაკი და წერა იცის; მისი მასწავლებლადა და გამზრდელად იყო რუსის აფიცერი შტაბს-კაპიტანი სმირნოვი. ახმედ-რიზა ნიჭიერი, ცოცხალი ბავშვია და როგორც ამბობენ, ძრიელ უყვარს ხალხსა.

რუსეთი და მაჰმედ-ალი-შაჰი.

რუსეთის მთავრობა ცდილობს, სპარსეთის მთავრობას ყოველ წლიური პენსია დაანიშვნინოს ტახტიდან ჩამოგდებულ მამედ-ალი-შაჰისთვის. ამ პენსიის რიგზე მიცემა უზრუნველყოფილი იქნება რუსეთისა და ინგლისისაგან. თუ შაჰი სპარსეთს მიატოვებს, რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში საჭირო საშუალებას მისცემს და აგრეთვე ძლიერს კანვოის აახლებს.

დიდი ბოიკოტი რუსეთის წინააღმდეგ

ბოიკოტი რუსის საქონლის წინააღმდეგ მეტის-მეტად გაძლიერდა და მთელს ჩრდილოეთ სპარსეთს მოედვა.

„ტიფლ. ლ."-ს ატყობინებენ ჯულფიდან, რომ ბოიკოტმა მეტად საშიში ხასიათი მიიღოო.

ჯულფიდან სპარსელებს სულ აღარ გააქვთ რუსის შაქარი. თავრიზში უცხოელმა ვაჭრებმა (არა რუსებმა) 100 ვაგონზე მეტი შაქარი მიიტანეს და ფუთს 15—20 კაპიკით იაფად ჰყიდიან რუსის შაქარზე.

ჯულფის საწყობებში მოგროვდა 80 ვაგონი რუსის შაქარი. ვაჭრები სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. ჯულფის გზაზე შესამჩნევად შემცირდა საქონლის მოძრაობა.

ბაქოში დეპეშები მიიღეს სპარსეთის ყველა მხრიდან, რუსის საქონელს ნულარ გამოგვზავნითო. რუსის ვაჭრებმა, რომლებსაც ალებმიცემობა აქვთ სპარსეთთან. აღარ იციან რა თავს წყალი გაიდინონ. დიდ ვაჭრების ერთმა ჯგუფმა სთხოვა მოსკოვის ბირჟის კომიტეტს, დახმარება გაგვიწიეთ, თორემ მთლად დავიღუპებით და აუცილებლად გავკოტრდებითო.

ასტარიდან - ატყობინებენ „კასპი"-ს: რუსის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. ასტარა-არდებილის გზაზე საქონლის მოძრაობა მთლად მოისპო.

იმავ გაზეთს ატყობინებენ რეშტიდან: რეშტში ბოიკოტი გამოუცხადეს რუსის საქონელს. აქაურმა ვაჭრებმა დეპეშები გაგზავნეს რუსეთში, დაკვეთილ საქონელს ნულარ გამოგვიგზავნითო. აქაური ხალხი ახლო აღარ ეკარება რუსის შაქარს, ნავთსა, ჩითებს და სხვა საქონელს. ხალხი ნავთის მაგივრად სახლებისა თუ ქუჩების გასანათებლად ქონსა ხმარობს.

„კავკაზ"-ს ატყობინებენ რეშტიდან: სამი დღეა, რაც რეშტის ბაზრები დაიკეტა. რუსის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. რეშტის ენჯუმენის ნებართვით ვაჭრებმა აუარებელი დეპეშა გაგზავნეს ბაქოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, რომ ამას იქით რუსის საქონელს აღარ ვიყიდითო. რომ უფრო მეტმა ხალხმა გაგზავნოს დეპეშა, ენჯუმენმა განკარგულება მოახდინა, რომ ასეთი დეპეშები მუქთად გაგზავნოს ტელეგრაფმა. ტელეგრაფი ენჯუმენის ხელშია. სასტიკად აკრძალულია რუსის ჩაისა, შაქრისა და სხვა საქონლის სყიდვა.

ენზელში მენავე სპარსელებმა რუსის ჯარის ბარგი არ გადაზიდეს ხმელეთზე. ამის გამო ბარგი რუსეთის ქვეშევრდომების ნავებზე დაუდეს, მაგრამ ნავთ-სადგურზე მუშებმაც არ დაცალეს ეს ნავები. ბარგის მხლებელი ყაზახები იძულებულნი იყვნენ თითონ გადმოეზიდათ ბარგი და დაედვათ ფურგუნებსა და ურმებზე, რომლებიც იქირავეს რუსეთის ქვეშევრდომებისგან".

თბილისში კერძო ცნობა მიიღეს, რომ ბოიკოტი რუსის საქონლის წინააღმდეგ ნეჯეფის მთავარ მუშტეიდის ბძანებით გამოაცხადეს სპარსელებმა, ხოლო ნეჯეფის მუშტეიდს ეს ღონისძიება ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ურჩიაო. სპარსელები ამბობენ, სანამ რუსის ჯარი არ გავა სპარსეთიდან, რუსის საქონელს ახლო არ მივეკარებითო.

ადერბეიჯანის ენჯუმენის პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ.

ადერბეიჯანის ენჯუმენმა დეპეშა გაუგზავნა ინგლისის დეპუტატთა პალატას და ინგლისურ გაზეთებს. დეპეშაში პროტესტია გამოცხადებული რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ და სხვათა შორის ნათქვამია: „საერთაშორისო ხელშეკრულობათა წინააღმდეგ, ვითომდა უცხოელ ქვეშევრდომთა დასაცველად, რუსეთის მთავრობამ შეიყვანა თავრიზში ჯარი, რომელიც უდიერად ექცევა თავრიზელებს. იმ ხალხის სახელით, რომელიც საუკუნოებით ითმენდა მტარვალურ მმართველობას და ამ ჟამად სისხლსა ჰღვრის თავისუფლებისთვის, ჩვენ ბეჯით პროტესტს ვაცხადებთ ჩვენის ეროვნულ უფლების დარღვევის წინააღმდეგ. რომ უარესად არ გართულდეს, ვთხოვთ ინგლისის წარმომადგენლებს, რომ რუსეთს სპარსეთის შინაგან საქმეებში ჩარევა დაუშალონ.

ოსმალეთი თავის ჯარს აძლიერებს ურმიაში.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა სელახ-ფაშამ ტელეგრაფით უბრძანა არზრუმის ჯარის უფროსს, ურმიაში ჯარი გააძლიერეთო.

გარეშე საქმეთა მინისტრმა დაამშვიდა რუსეთის და ინგლისის ელჩები, რომ ოსმალეთს სპარსეთში ადგილების დაჭერა არა სურსო.

სარდალ ასადის პასუხი.

როგორც ვიცით, რუსეთის საელჩოს რწმუნებული საბლინი თეირანის აღების წინა დღეებში დიდხანს ელაპარაკა ბახტიარების ხანს სარდალ ასადს და არწმუნებდა, თეირანზე გალაშქრება შეაჩერეთ და შაჰს მოურიგდითო; რაღა გინდათ, სრული თავისუფლება და კონსტიტუცია ხომ მოგცათ შაჰმაო.

სარდალ ასადმა ყურადღებით მოისმინა თურმე საბლინის ლაპარაკი და ბოლოს შემდეგი პასუხი მისცა: „ბოლოს დრომდე სპარსეთის ხალხს სჯეროდა რუსების სიტყვა და თავის მეგობრად სთვლიდა მათ ეხლა-კი... არც ისეთი სულელები ვართ, როგორც თქვენა გგონიათ. ეხლა თქვენი არც არა გვჯერა, არც მეგობრებად გვთვლით. მოიგონეთ, რამდენჯერ გამოაცხადეთ ოფიციალურად, რომ ადერბეიჯანში ჩვენი ჯარი განსაკუთრებით უცხოელთა დასაცველად შევიდაო. ნამდვილად-კი განა მარტო ამით დაკმაყოფილდა გენ. სნარსკი? ერთის სიტყვით, ჩემო მეგობარო, მეტს ვეღარ მოგვატყუებთ... ეხლა ჩვენ აღარავისი აღარა გვჯერა და გვინდა, რომ ჩვენის საკუთარის ხელით აღვადგინოთ კონსტიტუცია. თუ ვერ შევიძლებთ ამას მაშინ სჯობია სპარსეთი სულ დაიღუპოს მეტი ლაპარაკი საჭირო არაა; უკანასკნელად გიცხადებთ, რომ ჩვენ იარაღს არ დავყრით იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ მამედ-ალი-შაჰს ყაზახებს გარდა, მის მფარველ-მწყალობელი ჯარიც (რუსის ჯარი) შეგვებრძოლება. საუკუნო მონობას სიკვდილი სჯობია.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ივლისი

ოსმალეთი

სტამბოლი. რუსეთის ყოფილი ელჩი ზინოვიევი გემით ოდესაში წავიდა. გააცილეს სულთნის, დიდ ვეზირის, პატრიარქის და საელჩოს წარმომადგენლებმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა, მთავარ-სარდალმა მახმუდ-შევქეთ ფაშამ და რუსეთის კოლონემ.

სტამბოლი. 2 ივლისს რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა ინახულეს გარეშე საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი. ლაპარაკი იყო ოსმალეთის ჯარის ურმიაში ყოფნის შესახებ. ხილმი-ფაშამ და რიფაატ-ფაშამ სთქვეს, ცუდი განზრახვა არ გვიდევს გულში, ურმიაში მყოფ ჯარს არ ვადიდებთ და სპარსეთის ტერიტორიის დაჭერას არა ვფიქრობთო.

პასუხი კრიტოსის შესახებ ნოტაზე ოსმალეთისთვის 4 ივლისს უნდა ჩაებარებინათ. ამბობენ, ოსმალები მოითხოვენ, განიმარტოს წინადადება: „დრუა სუპრემ დიუ სულთან" ოსმალეთი გამოსთქვამს აგრეთვე სურვილს—ნება მიეცეს გაჰგზავნოს გემი კრიტოსზე და დაცულ იქმნას სულთნის სუვერენიტეტი.

ლონდონი. ჩამოვიდა ოსმალეთის პარლამენტის დეპუტაცია. დეპუტაციას მეთაურობს ოსმალეთის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი თალაატ-ბეი.

მიწის-ძვრა.

პარიზი. როგორც ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ, ილიდის პროვინციაში ჯერ კიდევ მიწის-ძვრაა თურმე. სოფელ პრხიოტში ყველა სახლი დაიქცა. ამ სოფლის მახლობლად 50 კაცი დაშავდა, აქედან ათი სასიკვდილოდ. ერთ ადგილას მიწა გასქდა და ლავამ ამოხეთქა. პოტანტეში დაიღუპა 2 კაცი, დამიზში—4; დაშავდა 24 კაცი. სოფელ ამალიასის სამი მეოთხედი დაიქცა. დაზარალებულ სოფლების მცხოვრებნი გარედ, ცის ქვეშ, ატარებენ დღე ღამეს.

საზღვარ-გარედ.

კოპენჰაგენი. ოთხ ივლისს გემით მოვიდნენ აქ სტოკჰოლმიდან (შვეცია) ადგილობრივ მთავრობის მიერ გამოგზავნილი რუსები. პოლიციამ ნება არ მისცა [illegible] ნაპირზე. მათ ლიუბეკში გადასხმენ.

ბერლინი. — [illegible] ველ ექვს თვეს გერმანიაში შეუტანიათ 4,125 მილიონ მარკის საქონელი, გაუტანიათ 3,221 მილიონისა. 1908 წელთან შედარებით შეუტანიათ 168 მილიონით მეტი და გაუტანიათ 94 მილიონით მეტი.

კოპენჰაგენი. აქ მოვიდა ცოლებითა და ქალებით საფრანგეთის პარლამენტის 56 დეპუტატი. მათ უნდა ინახულონ რეიხსტაგი.

ბერლინი. გერმანელ სტუდენტთა კავშირმა უნივერსიტეტის საბჭოსთან იშუამდგომლა. უცხოელი სტუდენტები უცხოეთში მხოლოდ მაშინ მიიღეთ, როდესაც ლექციების დაწყებიდან ექვსი კვირა გავლის, რადგან ეს უკანასკნელნი ადრე ჩამოდიან და კარგ ადგილებს იჭერენო. უნივერსიტეტის საბჭომ არ შეიწყნარა კავშირის შუამდგომლობა. ამის გულისთვის ზოგიერთი გაზეთი უნივერსიტეტების საბჭოს ჰკიცხავს.

რ უ ს ე თ ი

ოდესა. 4 ივლის თავი მოიკლა ნიკოლოზის საკომერციო სასწავლებლის ინსპექტორმა მანკოვსკიმ.

პინსკი. მატარებელში შეიპყრეს ერთი კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა მოწყობილებანი ქაღალდის ფულის საბეჭდავად და უკვე დამზადებული სამ-მანეთიანი ყალბი ფული.

ხარკოვი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობის მხრივ ხელახლა აირჩიეს კუჩეროვი.

ეკატერინოსლავი. 4 ივლის, ნაშუადღევის 2 საათზე, ქუჩაში დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი. დამჭრელი მიიმალა.

არხანგელსკი. ოთხ ივლის ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 10 კაცი.

ბორისოგლებსკი. ბორისოგლებსკის მახლობლად სამ ივლის ღამე რვა უცნობი კაცი თავს დაეცა გრიბანოვსკის შაქრის ქარხანას. უცნობებმა იარაღი აჰყარეს ურიადნიკს, მოჰკლეს დარაჯი. გაიტაცეს 30,000 მანეთი და ორი ეტლით წავიდნენ.

პინსკი. ტაბულკაში დაიწვა 113 შენობა.

კიევი. 4 ივლის ღამე სამმა უცნობმა, დაპატიმრების დროს, წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას ორი უცნობი მძიმედ დასჭრეს. სამივე შეიპყრეს. მსუბუქად დაიჭრა პოლიციელი.

პეტერბურგი. 4 ივლის ხოლერით ავად გახდა 101, გარდაიცვალა 31, მორჩა 51, ავად არის 876 კაცი.

მოსკოვი. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდა ეგვიპტელი პრინცი მამმედ-ალი-რიზა. პრინცი ბერლინში წავიდა.

ტფილისიდან ჭულფამდე

ერთის თვალის გადავლებით.

მგზავრის წერილები. *)

(დასასრული *)

1905 წლიდან ბევრი რამ შეიცვალა ჩვენ ცხოვრებაში, მითხრეს სტუდენტებმა. წინად ყველას ანაფორა სცმია, ახლა საზოგადო სტუდენტური ფორმა აცვიათ. წინად რექტორად არქიმანდრიტი ჰყოლიათ, რომელიც მუდამ დღე ეკკლესიაში ერეკებოდა მოწაფეებს თურმე, ახლა ერის კაცია და თავის საქმის კარგადაც მცოდნე, როგორც გადმოჰცეს. ზემო სართულშივე სააქტო დარბაზის ახლო მათთვის პატარა თეატრიც მოუწყვიათ. ჯეილებმაც დიდის ალტაცებით მითხრეს, თეატრი გვაქვსო და სირბილ-სირბილით გამიძღვნენ, რომ ეჩვენებინათ. საუბედუროდ, დღესასწაულის გამო, დარაჯი რომელსაც გასაღები ებარა, სხვაგან წასულიყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ამაოდ, დარაჯი ვერ იპოვნეს. ეტყობა, ეს მათი საყვარელი გასართობი ადგილია, და ძლიერ დალონდნენ, რომ ვერ მაჩვენეს. მე კი, მათ შემყურეს, მიხაროდა მათი ასეთი ალტაცება.

ვნახე მათი სასადილო ოთახიც, რომელიც ცალკე ერთ სართულიან სახლშია მოთავსებული. ავეჯეულობა სუფთა და წუნ დაუდებელია, მხოლოდ წყლის დასალევად მინის გრაფინების მაგივრად, თუნუქის ემალ გადასხმული თუნგები ედგათ. ნუ თუ აკადემიელები ისეთი ცელქები არიან, რომ მინის გრაფინებს ჩქარ-ჩქარა ამტვრევენ?

ვნახე საავად-მყოფო. ცალკე სახლშია ისიც მოთავსებული. საუბედუროდ, საავადმყოფო ვერც სისუფთავეს და ვერც მოწყობილებას ვერ დაიკვეხებს. მთავარ შენობის გარდა სხვა შენობები აკადემიასთან ხელ და ხელ გაკეთებული ან ძველი და უხერხულია.

აკადემიის მთავარ შენობის წინ ძეგლია ამართული პოეტის ქამას ქათიბისა, რომელიც დაიბადა 1838 წ., ხოლო გარდაიცვალა 1892 წ. დღესასწაულის გამო სტამბა დაკეტილი იყო და ვერ დავათვალიერე. გარეგნობით კი სტამბა კარგ თლილი ქვის შენობაშია მოთავსებული. უკანასკნელ ქათალიკოსის მათეოს მეორის არჩევანი ამ შენობაში მომხდარა. ვერ დავათვალიერე აგრეთვე იმავ მიზეზით მუზეუმი, რაც მეტად მეინტერესებოდა.

გამოვბრუნდით ისევ მთავარ ტაძრის ეზოში, აქედან სამხრეთით შევუხვიეთ. ჩვენ თვალ წინ ჰორიზონტზე არარატი იყო ამართული. თითქო ორი ვერსია იქამდისაო. ისე ნათლად სჩანდა; თავი კი ჩვეულებრივ დაბურული ჰქონდა.

— გუშინ უნდა გენახათ აქედან უნერტი,—მითხრა ერთმა სტუდენტმა.—სწორედ დიდებული სანახავი იყო. ერთი ბეწო ღრუბელი თავზე არ დასცურავდაო.

— დღეს რა ღმერთი გაუწყრა, ჩემი ხომ არა რცხვენია მეთქი!— შევნიშნე.

სტუდენტებს გაეცინათ.

— არა, ხუმრობის გარეშე, აქაურმა ქალებმა არარატისაგან ხომ არ გადიღეს პირის სახის დაბურვა?— ვთქვი მე.

— შეიძლება ასეც იყოს.

მართლაც და იშვიათად გამოაჩენს თავს ეს ჩვენი ბუმბერაზიო.

მთავარ ტაძრიდან გავიარეთ სამხრეთისკენ ერთი ორი ეზო. აქ მარცხნივ საკმაო სუფთა შენობაა.

— ეს არის სასტუმრო. თუ ღამე დარჩებით, მიმართეთ და საჭირო განკარგულებას მოახდენენო.

ჩვენ მხოლოდ მადლობა ვუთხარით, რადგან ერთი საათი დრო იყო კიდევ ჩვენს განკარგულებაში. სასტუმროს სამხრეთით ხელოვნური ტბაა ამოთხრილი. სიგრძე ორასი საჟენი ექნება, სიგანე—80. ტბაში წყალი პატარა ხელოვნურად გადმოყვანილ ნაკადულიდან შედის. გვითხრეს, რომ ტბას სიღრმე ათი საჟენი აქვსო, რაც მე არა მჯერა. ათი საჟენი წყალი ინგლისურ საუკეთესო ჯავშნოსანს მოიტივტივებს და ორას საჟენიან ტბისთვის ასეთი სიღრმე უაზროა. სტუდენტებმა გვიამბეს,—ეს აუზი შიმშილობის დროს ამოთხარეს, რომ დამშეულ ხალხისთვის სამუშაო მიეცათო. აუზი ოთხკუთხია, ნაპირები თლილი ქვითა აქვს ამოკეთებული. მართლაც და მშვენიერი სანახავია. წყალი წმინდაა. თევზები კი ცოტა ჰყავთ შიგ. ხელოვნურად კი ბლომად შეიძლებოდა შიგ თევზების გამრავლება. ნავიც არა აქვთ. უბედურებაც ხდება თურმე ხანდიხან. ახლახან ერთი გიმნაზიელი ერევნიდან ველოსიპედით წამოსულა სასეირნოდ. აუზთან თავი ვერ შეუმაგრებია და შიგ ჩავარდნილა. საბედნიეროდ, დროზე მიშველებიან და გადაურჩენიათ. რამდენიმე მაგალითი ყოფილა კაცის დახრჩობისა: ნავი ან ირგვლივ მოაჯირი ძლიერ საჭიროა ამ აუზისთვის.

აუზიდან მოვბრუნდით. სტუდენტებს მადლობა გადაუხადეთ და საეტლო სადგურისაკენ გავეშურეთ, რომ ეტლი დაგვეჭირა და ერევანში დროით ჩავსულიყავით.

ორივე ჩვენი ჩიჩერონე სტუდენტი მეტის მეტ ზრდილობიანად და მოყვრულად გვეპყრობოდნენ, რაც მათ ბუნებით გულ კეთილობას და კეთილ აღზრდას უნდა მიეწეროს. მათ ჩვენდამი გულწრფელი დამოკიდებულება სრულიად ძალდაუტანებელი იყო, რადგან ჩვენი თითქმის მწირი ჩაცმულობა მათ არავითარ საბუთს არ აძლევდა რამე პირმოთნეულ აზრით ესიამოვნებინათ ჩვენთვის.

ჩავსხედით ისევ იმგვარსავე საფოსტო ეტლში და გამოვეშურეთ ერევნისაკენ. კაცი, ეტყობა, ყველაფერს შეეჩვევა. აქეთობისაც დაბანდულ თოკზე ვისხედით, მაგრამ იმდენი არ გვიგრძნია, რამდენიც იქითობას. ეჩმიაძინიდან ერთი ვერსის მოშორებით ცალკე სდგას გაიანეს მონასტერი. საყდარი მოწითანო თლილი ქვისაგან არის აგებული და გარეგნობით ტფილისის სამხედრო საკრებულო ტაძარს წააგავს ცოტად. დრო არა გვქონდა, რომ შიგნით დაგვეთვალიერებინა.

გვანჯღრევდა გზა-გზა ჩვეულებრივ ჩვენი ეტლი და მიგვაქანებდა ერევნისაკენ. ეჩმიაძინი კი თან და თან თვალიდან გვეკარგებოდა. ჯერ კიდევ ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. რა არის ეჩმიაძინი, რა მნიშვნელობა აქვს? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ამასთანავე მაგონდებოდა აქა იქ გაგონილი ამბები. ეჩმიაძინში უთვალავი სიმდიდრეა მოგროვილიო. შეიძლება იყოს. მაგრამ ჩემ მიერ ნანახხ მატერიალისტურ სიმდიდრისა არა ეტყობოდა-რა. რაც შეეხება აკადემიას, იქ თითქმის სიღარიბეც გამოსჭყრეტს. შეიძლება შიგ მადლი ტრიალებდეს დიდი. მაგრამ ეს მადლი არა ვგონებ, რომ გულწრფელად ახლანდელ დროში ვისმე სწამდეს. ამაზე სიტყვის გაგრძელება მეტად მიმაჩნია. ეჩმიაძინი სხვა ფრივ არის შესანიშნავი. იმან თავისი როლი აგერ ორი ათასის წლის განმავლობაში ჩინებულად შეასრულა და ჯერ კიდევ ბევრ ხანს ითამაშებს. ეჩმიაძინი ის ღერძია, რომელიც აერთებს ყველა სომეხს, სადაც უნდა იყოს იგი, ინდოეთში თუ ამერიკაში, მცირე აზიაში თუ რუსეთში. ის აერთებს ყველას—მდიდარსა და ღარიბს, სწავლულს და უსწავლელს. რა მიმართულების და რწმენისაც უნდა იყოს სომეხი, ყოვლად შეუძლებელია, რომ სიტყვა ეჩმიაძინმა გული არ აუტოკოს. სომეხმა ადვილად შეიძლება ენაც დაჰკარგოს, მაგრამ ის მაინც ეჩმიაძინისაა. ერთი ფესვი მაინც იმ გულთან აქვს და რაკი ერთი ფესვი ცოცხალია, მცენარეც არ არის მკვდარი. გაჩნდება ნიადაგი, ფესვი ფესვს მოისხამს და სხეულიც გაღონიერდება. რასაკვირველია, ეჩმიაძინის მნიშვნელობა არ შეუქმნია იმ თლილ ქვას, რომლითაც აშენებულია ტაძარი და არც იმის კედლებზე გამოყვანილ ჩუქურთმებს. ეს მნიშვნელობა შეჰქმნა შორს მჭვრეტელობამ და წინ დახედულობამ, რომელიც გამოიჩინეს სომხებმა ჯერ კიდევ ამ ორი ათასის წლის წინად და რაც, საუბედუროდ, ვერ გამოიჩინეს მათ მეზობლად მცხოვრებმა ჩვენმა წინაპრებმა. თუმცა ამასაც თავისი პატივ-სადები მიზეზები აქვს. ეს მიზეზები თვით სომხისა და ქართველის ხასიათშია. სომეხი ანგარიშით აკეთებს საქმეს, ქართველი გრძნობით. სომეხი არ აჩქარდება, ჩაუკვირდება საქმეს, გამოიანგარიშებს და თუ სახეიროდ სცნო, მაგრა ჩაებღაუჭება; ქართველი კი ჩქარა იფეთქებს და, საუბედუროდ, ჩქარადვე დაცხრება. სომეხს ოცჯერაც რომ დაუფიცო, არ დაგიჯერებს, თუ თვითონ არ დარწმუნდა საქმის ხეირში, ქართველს ერთი რომ მოუფერო, საუკუნო სიყვარულს შემოგფიცავს. ამ თავისებურმა გონება-ჭარბმა ხასიათმა შექმნა ეჩმიაძინი და შეუბღალავად მოიყვანა დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ შვიდასი წელიწადია, რაც სომხეთა პოლიტიკური დამოკიდებულება დაჰკარგეს და თითქმის მთელ დედამიწაზე გაიფანტნენ.

სომხებმა ქრისტიანობა პირველ საუკუნოებშივე მიიღეს, მაგრამ მაშინვე ეს ახალი სჯული თავისებურად ჩამოაყალიბეს. მათ ძლიერ ჩქარა გაზომეს და ასწონ-დასწონეს ბიზანტიელები. ბრიყვულად არ ენდნენ მათ. ეჭვი შეეპარათ ბერძნების წმინდანობაში და თავიანთ საბედნიეროდ ჩქარაც აეშალნენ მათ. სომხებმა მეოთხე მსოფლიო კრებასვე შეაქციეს ზურგი. სხვაფრივ შეუძლებელიც იყო: მსოფლიო კრებებზე ესა თუ ის საკითხი ხმის უმეტესობით სწყდებოდა. უმეტესი ხმა კი იმათ ჰქონდა, ვისაც ბიზანტიის სასახლის კამარილა ჰქომაგობდა. განაჩენზე დიდის რიხით აწერდნენ: „სული წმიდას ასე მოესურვა საქმის გადაწყვეტაო." სომხები ადრევე მიუხვდნენ და როგორც ვხედავთ, არც უზარალნიათ. ჩვენ ხალხს-კი ბერძენი დღესაც რაღაც წმინდად მიაჩნია. თუმცა ჩვენი წინაპრები ბევრჯერ მოტყუებულან მათგან და

---

*) იხ. „დროება", N 146.

პეტერბურგი. გაზეთ „სლოვოს“ გამოცემა შეჩერდა.

ტვერი. ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი.

არხანგელსკი. კემსკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5 კაცი.

რიგა. რიგის მაზრაში ხოლერით ერთი მუშა გახდა ავად.

პეტერბურგი. 5 ივლისს ხოლერით ავად გახდა 81, გარდაიცვალა 41, მორჩა 49, ავად არის 868 კაცი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართველების გადასახლება.** როგორც უკვე ვწერდით, ქართველი ხალხი, ადგილ-მამულის სივიწროვისა გამო, ამ ბოლოს დროს დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. განსაკუთრებით შევიწროვებულია უმიწა-წყლობით რაჭა, სვანეთი, გურია, სამეგრელო და იმერეთის მთიანი ადგილები, ფშა-თუშ-ხევსურეთი და აქა-იქ ქართლისა და კახეთის ზოგიერთი კუთხეები. განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ დაიძრა უმიწა-წყლო ხალხი და შინ თუ გარედ დაეძებს ადგილს დასასახლებლად. ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ და უპირველესი ბიუროკრატიაა, რომელიც არ უთმობს გაჭირვებულ ხალხს თავისუფალ სახაზინო მიწებს და მხოლოდ ერთის ლოზუნგით ხელმძღვანელობს—რუსეთი რუსებისათვისაო. უმრავლესობას უფულობისა გამო უჭირს მემამულეთაგან ადგილის შეძენა. საგლეხო ბანკიც ბევრს ხელის შემშლელ პირობასა ჰქმნის. ყველა ამან, ბევრი აიძულა საქართველოს ტერიტორიას მოშორებოდა და სხვაგან ეძებნა მიწა. ამ ერთი წლის წინად, მაგალითად რაჭიდან კავკავისაკენ დაიძრა ხალხი და თითქმის 1500 სული ჩასახლდა სადღაც ჩრდილოეთში. ამ უკანასკნელ 40-60 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ტერიტორიას ბევრი ადგილი ჩამოსჭრეს და დაურიგეს სხვა მხრიდან მოსულ მოლდავანებს, სომხებს, ბერძნებს, გერმანელებს და სხვებს. როგორც მცოდნეთა მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩნს, ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნულთ 300,000 დესეტინა მიწა მიეცათ მაშინ, როდესაც ქართველებს ათასი დესეტინაც არ მიუღიათ სახელმწიფო მიწიდან.

◆ **შენობა ბიბლიოთეკა-მუზეუმისთვის.** 4 ივლისს მოხდა სხდომა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობისა. გამგეობამ განიხილა მოხსენება საისტორიო-საარქეოლოგიო სექციისა ბიბლიოთეკა-მუზეუმის დროებით შენობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ბ-ნ ს. კლდიაშვილის გეგმით 10,000 მან. სჭირდება ილია ჭავჭავაძის მიერ ნაანდერძევ სახლის შეკეთებას ანდრეევის ქუჩაზე. გამგეობამ დაადგინა, გეგმა გადასცეს სპეციალისტთა კომისიას და სთხოვას მას აცნობოს თავისი მოსაზრება და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობამ 4 ივლისს დაადგინა, დაავალოს სასკოლო სექციას შეამუშაოს სახ. ბიბლიოთეკებისათვის საქმეთა წარმოების წესი. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ ნ. ლოლაბერიძეს, რომელმაც საზოგადოებას შესწირა ბროსეს საქართველოს ისტორიის 1 ნაწილის 529 ცალი, ხოლო მეორე ნაწილისა—801 ცალი. გამგეობის დადგენილებით ბორჯომში წელსაც გაიმართება საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა.

◆ **ექსარხოსის მოადგილე.** ამ დღეებში ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდა იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, რომელიც შეუდგება საქართველოს ექსარხოსის თანამდებობის აღსრულებას, ნაცვლად ბაქოს ეპისკოპოსის გრიგორისა, რომელიც პეტერბურგში აპირებს წასვლას.

◆ **თავ. ჩერქეზიშვილის ოპერაცია.** პარიზიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ქალაქის თავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილისათვის უკვე გაუკეთებიათ ოპერაცია. ექიმებს ავადმყოფი გაუჭრიათ და დაავადებული თირკმელი ამოუღიათ. ოპერაცია თ. ჩერქეზიშვილს კარგად გადაუტანია და იმედოვნებენ, რომ ავადმყოფი მალე გამოსაღდება.

◆ **უპასპორტოები.** გაჩხრეკის დროს ლიუტერანისა, ავჭალისა, ანდრეევისა და ფეოდოროვსკის ქუჩაზე დააპატიმრეს 30 უპასპორტო,

◆ **ახალი ჟურნალი და გაზეთი.** კვირას ტფილისში გამოვიდა ყოველ-თვიური ჟურნალი „ამომავალი მზე“. ერთი კვირა იქნება ქუთაისში კიდევ გამოდის ყოველდღიური გაზეთი „ვარსკვლავი“. ორივე გამოცემას შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

◆ **„ჯეჯილი“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მეექვსე (ივნისის) ნომერი.

◆ **გეტცის მოკვლის საქმე.** დღეს, 7 ივნისისთვის, კავკასიის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ბორჯომის მამულის გამგის გეტცის მოკვლის შესახებ. სამართალში მიცემულნი არიან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ხმალაძე და ახობაძე.

◆ **დაპატიმრება.** გაზეთ „ბაკუ“-ში ვკითხულობთ: 3 ივლისს ბაქოში პოლიციამ დააპატიმრა ადგილობრივ „ყოჩების“ (ზოგიერთ მდიდარ მაჰმადიანებს დაქირავებული ჰყავთ ახალგაზრდა ბიჭები. ამ ბიჭებს „ყოჩებს“ ეძახიან. როდესაც ორ ასეთ მდიდარ მაჰმადიანს შორის რაიმე შუღლი ჩამოვარდება, მათი „ყოჩები“ ჩხუბს აუტეხენ ხოლმე ერთმანეთს. ხშირად ძარცვა-გლეჯასაც მისდევენ), მეთაური, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ზარბალიევი. ზარბალიევი შეძლებული კაცია, ბაქოში რამდენიმე სახლი და მაღაზია აქვს. იგი 40 წლისაა. რამდენიმე წლის განმავლობაში ზარბალიევი შიშის ზარსა სცემდა ბაქოს მცხოვრებთ. ყველას ეშინოდა მისი, იგი ყველას თვალ-წინ თავის თანაშემწე „ყოჩების“ შემწეობით მრავალ მხეცობას სჩადიოდა. ყველამ იცოდა ეს, მაგრამ ჩივილს ვერა ჰბედავდა. „ყოჩებსაც“ ისე ეშინოდათ მისი, რომ ხმის ამოუღებლად ასრულებდნენ ბრძანებას. როდესაც ბაქოში გრადონაჩალნიკად მარტინოვი დანიშნეს, ზარბალიევმა თავისი გავლენა დაჰკარგა, „ყოჩები“ ურჩობდნენ. ზარბალიევმა იგრძნო, რომ მის მოქმედებას ბოლო ეღება და ამიტომ სხვაგან წავიდა. მაგრამ ეხლა-ხან ბაქოში ჩამოვიდა და პოლიცმეისტერის ბრძანებით დააპატიმრეს. ზარბალიევის დაპატიმრებამ ადგილობრივ მაჰმადიანებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზარბალიევი დააპატიმრეს. ამის საყურებლად აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. სატუსაღოსკენ მიმავალი ქუჩები სულ ხალხით იყო სავსე.“

◆ **ქურდები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.** დიდი ხანია ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ქურდები შეეჩვივნენ. აქამდე საგარდერობო ოთახიდან იპარავდნენ ნივთებს, ეხლა მძინარე მოხელეების გაქურდვაც დაიწყეს. 5 ივნისს ღამე (სამ საათზე) ერთ მოხელეს ტანისამოსი გაუხდია და მეზობელ ოთახში მიწოლილა. როდესაც გამოღვიძებია, ვეღარც შარვალი უნახავს და ვეღარც ჟილეტი—ღამის რაინდებს ორივე წაუღიათ.

◆ **სპარსელი ყაჩაღები.** დეპეშითა სააგენტოს სიტყვით, სოფელ კოდადიხს, ზანგეზურის მაზრაში, თავს დაესხნენ სპარსელი ყაჩაღები. მათ გაძარცვეს სოფელი, მოჰკლეს ოთხი ყარაული და სპარსეთში გაიქცნენ.

◆ **ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო.** რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები და წერილები: ფოთიდან: „ფოთელი ამხანაგები უსაზღვროდ ვგლოვობთ ერთგულ ამხანაგის ლადოს დაკარგვას. ვწუხვართ, რომ დროზე ვერ შევიტყვეთ დასაფლავების დღე და ვერ შევამკეთ კუბო გვირგვინით.“ საჩხერიდან: „დიდად დამაღონა ძვირფას მეგობრის ვლადიმირის დაკარგვამ. სამძიმარს ვუცხადებ მის დაობლებულ ოჯახს. სეით იაშვილი“. არადეთიდან: „ვგლოვობთ უდროოდ დაკარგულს ყოვლისფრით შემკულს, სამშობლოს ჭირისუფალს, ჩვენს ძვირფასს მასწავლებელს ვლადიმერს. იზნელები“.

◆ **რა წყალსა ვსვამთ.** ქიმიურ ლაბორატორიაში გამოუკვლევიათ ავჭალიდან, ქალაქის მილის აუზიდან აღებული წყალი და აღმოჩენილა, რომ ეს აუზის წყალი უფრო მეტ მიკრობებს შეიცავს, ვიდრე მტკვრისა და წყაროების წყალი, საიდანაც აუზში წყალი ჩადის ეს გარემოება იმასა მოწმობს, რომ აუზს ქალაქის გამგეობა მეტად უსუფთაოდ ინახავს. ქიმიურ ლაბორატორიის გამგის წინადადებით, აზრადა აქვთ გასწმინდონ და გაასუფთაონ ეს აუზი.

◆ **„ჭეშმარიტ რუსთა“ ახალი საზოგადოება.** ტფილისში ჭეშმარიტი რუსები აარსებენ ახალ საზოგადოებას კიდევ, სახელად «Русское окрайнее общество на Кавказѣ». კვირის „გოლოს კავკაზ“-ში დაბეჭდილია ამ საზოგადოების „მანიფესტი“, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: კავკასიაში, რუსების გარდა, ყველა ერები შეერთდნენ. წინად, როდესაც მთავრობა მზრუნველობდა, შეერთება საჭირო არ იყო. ეხლა სახელმწიფოებრივი წეს-რიგი გამოიცვალა, რეფორმების შემოღებაა განზრახული და საჭიროა რუსების შეერთება თავიანთ ინტერესების დასაცველადაო. წესდება უკვე დაუმტკიცებიათ. წესდების პირველ მუხლში ნათქვამია თურმე: „საზოგადოებას აზრადა აქვს ხელი შეუწყოს რუსეთის სახელმწიფოებრივობის, კულტურის და რუსის ეროვნების გამტკიცებას კავკასიაშიო“.

◆ **დეპუტატები წერეთელი და მახარაძე.** ბაქოს გაზეთებს პეტერბურგიდან ატყობინებენ: მეორე სახ. სათათბიროს წევრებს წერეთელსა და მახარაძეს შემოდგომაზე ციმბირში ჰგზავნიან დასასახლებლად.

◆ **დღესასწაული.** სომეხთა დღესასწაულის გამო გუშინ, 6 ივლისს, ქალაქში სომეხთა ყველა სავაჭრო და მაღაზია დაკეტილი იყო. არც გაზეთები გამოსულა.

◆ 5 ივლისს, ღამის 12 საათზე, ფომინის ქუჩაზე განჯის მოქალაქე გრიგოლ მახრიანც, ხელობით მკერვალი, ჩხუბის დროს მივარდა თავის ცოლსა და სიდედრს ანნა კაჭაროვისას და სამზარეულოსი. დანით მოჰკლა თავისი ცოლი სოფიო. მახრიანცი დააპატიმრეს.

◆ 4 ივლისს იაროსლაველი გლეხი ნიკოლოზ დერბენევი, ხელობით ნოქარი, ღამის 11 საათზე გადავარდა მტკვარში და დაიხრჩო. მიზეზი ის ყოფილა, რომ დერბენევი ლოთობის გამო სამსახურიდან დაუთხოვნიათ. დამხრჩვალის გვამი იპოვნეს.

◆ 3 ივლის დააპატიმრეს არტემ პეტროზოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატორიდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

◆ 3 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ტფილისის მოქალაქე რომან გრიქუროვი (50 წ.) საბანაოდ მტკვარში ჩასულა სათივე მოედნის პირდაპირ. გრიქუროვი წყალს ჩაუთრევია და დაუხრჩვია.

◆ 5 ივლისს, ღამის 12½ საათზე, სათავადრიგო გოროდოვოი სარქის ხეჩატურიანცი სურგჰარაპეტის [illegible] ვანზე მიდიოდა [illegible] ციელს ქვეშ [illegible] ხეჩატუროვ[illegible] გამოუდ[illegible] დასდევნებია. ხეჩატუროვმა ერთი მათგანი დასჭრა და დააპატიმრა, ხოლო დანარჩენები მიიმალნენ. დაჭრილის ვინაობა ჯერ ვერ გამოარკვიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი

◆ **ლექცია ავალიანისა.** კვირას, 5 ივლისს, საღამოს 8 ნახევ. საათზე, ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ს. ლ. ავალიანი, ქალაქის თეატრში საზოგადოების თხოვნით წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას შემდეგ თემაზე: «Формы землевладенія и землепользованія на Кавказѣ». ვინც რაიმე მიზეზით ვერ დაესწრო ლექტორის პირველ ლექციას, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია და მეტად დააკმაყოფილა დამსწრე საზოგადოება (სამწუხაროდ, მცირე რიცხოვანი). გულწრფელად ვურჩევთ, ამ უკანასკნელ ლექციას მაინც არ დააკლდეს.

◆ **ქიმიური ლაბორატორია.** ინჟენერ-მეხანიკოსი რომანოვი აპირებს ქუთაისში ქიმიურ ლაბორატორიის მოწყობას, მან მიმართა ქალაქის გამგეობას და შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თხოვნით, აცნობონ, შესაძლებელია, თუ არა მათი მხრით რაიმე დახმარება პირველ წლებში მაინც. ქალაქის გამგეობა სასანიტარო კომისიის თანადასწრებით ამ დღეებში განიხილავს ამ თხოვნას.

მოწერილი ამბავი

თელავი. მკითხველს იქნება ახსოვდეს ქალაქის გამგეობის გაჭირვებული მდგომარეობა: არა ჰყავს მოურავი, არა ჰყავს თანაშემწე და ეს-კი სულ იმისთვის, რომ არც ხმოსანთა საკმაო რიცხვი ჰყავს, რათა შესძლებოდათ როგორც მოურავის, ისე მეორის არჩევა. როგორც იყო, ხმოსანთა დამატებითი არჩევანი მოხდა 27 ივნისს. თუ როგორ ინტერესებთ მოქალაქეთ ქალაქის ბედ-იღბალი, იქიდანა სჩანს, რომ სამას ამომრჩევლიდან გამოცხადდა მხოლოდ 30 კაცი. ესენიც ძალად მოიყვანეს. კიდევ კარგი, არჩევნები შედგა და გადადება აღარ გახდა საჭირო. ამ დღეს აირჩიეს 7 ხმოსანი და 3 კანდიდატი. ხმის უმეტესობით ხმოსნებად არჩეულ იქნენ: დ. ალხაზოვი, მ. ცა-

---

ბევრს ჩვენ სასულიერო მოღვაწეს, ჯერ კიდევ ძველ დროშივე, გასცრუებია მათში იმედი. განა მარტო ბერძნებში მოვტყუვდით?.. განა სომხებს არა სწამთ ქრისტე? მათ არა აქვთ სახარება? მათ არა აქვთ ჯვარი? არსებითად რა განსხვავებაა, მათ და ეგრეთ-წოდებულ მართლმადიდებლებს შორის? არავითარი. ჭკუიან გლეხს რომ აუხსნა, რა განსხვავებაა სომხის და ჩვენ რჯულს შორის, სიცილი მოერევა. მიუხედავად ამისა, ამ განსხვავებამ დაიცვა ისინი დღემდე, ამ განსხვავებამ ცოცხლად მოიყვანა ერი დღემდე, თუმცა დაჰკარგა ტერიტორია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ზოგან თითქმის ენა და ზნე-ჩვეულებაც. და ეს ჰქნა ეჩმიაძინმა.

— შენ რაღაც ოცნებაში ხარ!—წამკრა მუჯლუგუნი ჩემმა თანამგზავრმა.

— ჰო!—გამოვერკვე, და უკან მივიხედე. ეჩმიაძინი ჰორიზონტზე ოდნავ მოსჩანდა.

დავბრუნდით ისევ ერევანში. ტფილისიდან დაგვაბარეს: კაი ქიშმიში და ლაბლაბო ხომ ერევანშია და თქვენ იცით, თუ მოიტანთო. ჩვენც გადავწყვიტეთ სახსოვრად წავეღო აქაური ნაქები ქიშმიში და ლაბ-ლაბო. მოედანზე აქა-იქ შევამჩნიეთ ხმელი ხილის სავაჭროები. მივედით, დავათვალიერეთ. თუმცა ხმელი ხილის სიავ-კარგის ბევრი არა გამეგება-რა, მაგრამ რაღაც თვალში არ მომეწონა. ჩემი თანამგზავრი ჩემზე უფრო უვიცი აღმოჩნდა ამ საქმეში. ვნახეთ სხვაგან, იქაც უარესი. ალბად ისე მეჩვენება, თორემ კარგისა უნდა იყოს-მეთქი, ვაჯერებდი ჩემ თანამგზავრს. არ მოგვწონდა. ჩაშნიკად მაინც წამოვიღეთ რამდენიმე გირვანქა. მაგრამ, შინ რომ მოვიტანეთ, სიცილი დაგვაყარეს. ჩვენ გვერდით მეწვრილმანე ცამეტ კაპეიკად გაცილებით უკეთესს ქიშმიშს ჰყიდდა თურმე, ვიდრე ჩვენ მიერ ერევნიდან სამ-სამ შაურად მოტანილი იყო. ესეც შენი ერევანი.

ჩავსხედით მატარებელში და გავემგზავრეთ ულუხანლუსაკენ, აქ გადავსხედით სხვა მატარებელში და ჯულფისკენ გზას გავუდექით. ულუხანლუს შემდეგი სადგური კამარლიუა, რომელიც ულუხანლუდან 16 ვერსის მანძილზეა. კამარლიუ თითქმის ჩაფლულია ბაღ-წალკოტებში. აქედან დიდძალი ღვინო იგზავნება ყველგან და იაფიც არისო ამბობენ. სადგურთან საკმაო დუქნებია, იქვე ახლო ბაზარი. სახლები ევროპიულ ტიპისაა, ასე რომ, ახლო მომავალში აქ კარგი დაბა გაიმართება.

კამარლიუდან რკინის გზის ლიანდაგი მდ. არეზს უახლოვდება და ისე მიდის ჯულფამდე. სად. კამარლიუს მოსდევს სად. არარატი. ეს სადგური არარატის მთის აღმოსავლეთითაა. სადგურიდან არარატის ძირამდე ოცი ოცდა ხუთი ვერსი იქნება. კამარლიუდან არარატამდე 17 ვერსია. როგორც წინადაც ვთქვი, აქ არეზის დაბლობს შესამჩნევად ავიწროებს ერთის მხრივ არარატის მთა და მეორის მხრით გლანლუს მთა, მაგრამ ნიადაგი მეტად ნაყოფიერია, თუმცა ალაგ-ალაგ ჭაობებიც არის და საერთოდ ადგილი ციებ-ცხელებიანი უნდა იყოს. ამ ადგილებში ხშირად გხვდება შეკაზმული აქლემები. შეუსვამს თათარს ერთ აქლემზე რამდენიმე ქალი, ალბად მთლად მისი ჰარამხანა, მეორეზე თვითონ შემჯდარა, თან უკან ვაჟიშვილი მოუსვამს და სადღაც მიეჩქარება. აქლემსაც აუშვერია მაღლა კისერი და თითქო ეჯიბრება ჩვენს მატარებელსაო, მოითოხარიკებს. ამ ადგილებშიაც ერთი რომელიმე ერი არა ცხოვრობს, სომხობა და თათრობა ერთმანეთში არეულია. არეზი ზოგან საკმაოდ განიერია, ალაგ-ალაგ შუაში მაღალი ლერწმით დაბურული კუნძულებიც მოსჩანს. სად. არარატი 378 საჟენზეა ზღვის ზედა პირზე.

არარატის შემდეგ რამდენიმე პატარა სადგურია შახტახტამდე, მაგრამ შესანიშნავი არა არის-რა, მხოლოდ სად. არარატის ცოტა ქვემოდ რუს-სპარსეთის საზღვარია. შახტახტი მოზრდილი სოფელია. აქ არის საყარაულო და დამოჟნა. სპარსეთის მხარესაც მოსჩანს სახლები. არეზზე დიდი ბორანია, რომლის შემწეობით არის მისვლა-მოსვლა და ალბად სავაჭრო საქონლის გაცვლა-გამოცვლა რუსეთ-სპარსეთ შორის ამიტომ ამ სადგურზე შესამჩნევი მოძრაობაა. რამდენიმე სავაჭრო დუქანიც არის. სხვათა შორის ერთს გარედ ქართული გვარი ეწერა და დახლშიაც ჩვენებური ზორბა ვაჟკაცი გამოჭიმულიყო, წინ თეთრ ტილო აფარებული. არარატიდან შახტახტამდე ორმოცი ვერსია.

შახტახტს მოსდევს ნახიჩევანი. სადგური ქალაქიდან ერთი, ერთნახევარ ვერსითაა დაშორებული. შორიდან ნახიჩევანი ერევანზე უფრო ლამაზი შესახედავია, შიგნით კი მოუწყობლობა-უსუფთაობას იქაც საარაკოს ამბობენ. ქალაქის შუაგულ რაღაც ვეებერთელა ოთხკუთხი კოშკია ამართული. ვერ გავიგე ეკლესიაა თუ მეჩეთი. ნახიჩევანი ერთი უძველეს ქალაქთაგანია. აშენებულია მეექვსე საუკუნეში, სომხეთის მეფის ტიგრან პირველის დროს. ეხლა ნახიჩევანი ერთი საუკეთესო სავაჭრო ქალაქია აღმოსავლეთ კავკასიაში, რადგან სპარსეთიდან ამიერ-კავკასიაში შემოსასვლელ გზაზეა. ნახიჩევანიდან დაწყებული მთები თან და თან უახლოვდება მდ. არეზს. გავიარეთ რამდენიმე მანძილი ნახიჩევანიდან გავედით მდ. ნახიჩევან-ჩაის და მივადექით ტურუდაგის მთას. აქ გაშლილ და ფართოდ მდინარე არეზს ფრთები ეკვეცება, აკვანივით იმწყვდევა მთებს შუა და იმდენად ვიწროვდება, რომ კაცს ეგონება—ვისკუპებ და გაღმა გადავხტებიო. რკინის გზის ლიანდაგი ზედ მდინარეს მისდევს და ისე ათასფრად დაკლაკნილი, როგორც მდინარე. ჩვენ მიერ ნაცნობი აბიბინებული დაბლობი თავდება და შევდივართ ისევ ხრიოკთა სამეფოში. საითაც გაიხედავ, მოწითანო ვეებერთელა ლოდთაგან შემდგარი კლდეებია, არც ტყე, არც ბალახი. სულ ასეთი ერთ-ფეროვანი მოსაწყენი, მაგრამ დიდებული თავის სიდიადით ბუნებაა ჯულფამდის.

აი მივუახლოვდით ჯულფას. ჯულფას. ჯულფის ახლო არეზს ერთვის ალეჯი-ჩაი, რომელიც ქსნის ტოლა იქნება. ისიც უზარ-მაზარ კლდეებში ძლივს იკვლევს გზას. მატარებელმა დაიკივლა და სიარულს უკლო, გამოჩნდა მეორე, მესამე სათადარიგო ლიანდაგი და მიუახლოვდა სადგურს. მოვედით ჯულფაში. ამ ხრიოკ მთებ შუა ერთ ალაგას საკმაო ფართო ველი გაჩენილა. აქ არეზიც ფართოდ იშლება, ბუნებასაც ცოტაოდენი სიცოცხლე ეტყობა. ამ ველს ორ ვერსამდე სიგრძე-სიგანე ექნება. ეს ველი გახლავთ ჯულფა. გაღმა ადერბეიჯანია, სპარსეთის საბრძანებელი, ხოლო გამოღმა რუსეთის საბრძანებელი. აქეთა ნაპირზე რუსებს გაუშენებიათ დამოჟნა და საჭირო შენობანი, იქითა ნაპირზე სპარსელებს. დიდი ბორნის შემწეობით სწარმოებს მისვლა-მოსვლა ამ ორ ნაპირს შორის. ჯულფის ქვემოდ ორ ვერსზე არეზზე გადებულია მშვენიერი რკინის ხიდი, მაგრამ ამ ხიდზე ჯერ არავის უშვებენ. ეს ხიდი რკინის გზის გაყვანის დროისთვის არის მომარაგებული. ჯულფის რკინის გზის სადგური საკმაოდ დიდი შენობაა აღმოსავლეთის გეგმაზე. შიგნით სუფთაა და მოხერხებულად მოწყობილი.

ქართულ ლაპარაკს ჯულფის სადგურზე უფრო ხშირად გაიგონებ, ვიდრე ტფილისში. რკინის გზის მოხელეებში ბევრია ქართველი. ბუფეტიც ქართველს უჭირავს. გამოველაპარაკე მებუფეტეს. მითხრა, ჩვენებურები ბევრნი მიდიან სპარსეთის მხარესაო.

— მერე როგორ ახერხებენ მეთქი.

— მაგაზე ადვილი რა არის: ერთი ორი მანეთია საჭირო, რომ გაღმა ამოგაყოფინონ თავიო... ეს, ბატონო, ჯულფა, ჯულფაო, იძახიან განაგრძო მებუფეტემ—სახელი დიდია და სახრავი კი შიგ არა ჰყრია რაო. ბუფეტი ვერა ხეირობს მოგება აქვს იმას ვისაც სასტუმრო აქვს.

— სასტუმრო რანაირად მოიგებს, აქ არც სახლები სჩანს, არც რამე სავაჭრო.

— ჰამა-სმაში კი არ იგებენ ფულს—ქალებით იგებენ: თათრებს სხვა არა უნდათ რა. ქერა, ევროპიულად გამოწყობილი ქალი აჩვენე და პერანგსაც დააგირავებსო. ან რა უჭირთ დასაგირავებელი! შეხედავ, გახუნებული პალტო აცვია, ჯიბეში კი ათასობით უწყვია.

ამას მეუბნებოდა მებუფეტე გულუმრყვილოდ. მე კი ყურებამდე ვწითლდებოდი. „ესეც კულტურა. გამიელვა თავში, ესეც შენი ევროპასთან დაახლოვება!“

სადგურს გავშორდი. ირგვლივ მთებ-მთებს შუა, ტრიალი მინდორი, კლდეებზე რამდენიმე სახლი,—აი მთელი ჯულფა. მივუახლოვდი მდ. არეზს და დავდექ იმის ნაპირზე დაფიქრებული. გაღმა ერთმა მთამ მიიქცია ჩემი ყურადღება. მთა საკმაოდ მაღალია, კოშკის სიმაღლე იქნება და პირამიდის მსგავსად არის ამართული. ძლიერა ჰგავს ინგურის ხეობის ერთ მთას, ს. ჯვარის ზემოდ იმ მთას წულიშის მთა ჰქვია. წულიშს ერთის მხრივ ინგური ჩამოუდის, მეორე მხრივ მდ. მაგანა. ორივე ჩქარი და მოუსვენარი, სავსე გემრიელ კალმახითა. მაგრამ ამ ორ მთას გარეგან მოყვანილობით მსგავსებასთან ბევრი განსხვავებაცა აქვთ. რამდენად მწირი და ხრიოკია ჯულფის მახლობელი მთა, იმდენად ბუნებით მდიდარი და ნაირ ნაირ მცენარეულობით დაბურულია წულიში. მის წვერზე თვალ-უწვდენელი ფიჭვი და ნაძვი ხარობს, ფერდებზე წაბლი, დაფნა, წიფელი და სხვა ხეები და ბუჩქები ერთმანეთშია გადახლართული. მაგრამ წულიშის ახლო ხეირიანი საცალფეხო გზაც არ არის და მთელი იქაური აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე უქმად ძევს. აქ კი, ამ გატრუცულ ხრი-

სკარაშვილი, მ. სალაყაიძე, ი. იარალოვი, ი. დათუნაშვილი, ა. ნაიბოვი და მ. ბეგიჯანოვი. როცა ამათ დაამტკიცებენ, მაშინ ესენი ძველ ხმოსნებთან ერთად აირჩევენ ქალაქის თავს და იმის თანაშემწეს.

დაფარული არავისთვისაა, რომ ქალაქი უპატრონოდ იყო დარის. 1896 წელს თვითმმართველობა შემოიღეს და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის კეთილდღეობა იოტის ოდენადაც არ გაუმჯობესებულა იმის მეტი, რომ გამგეობის შესანახად წელიწადში რამდენიმე ათასი მანეთი იხარჯება. ეხლა სულ იმაზეა საქმე, თუ როგორი იქნება ქალაქის მოურავი. ამისთვის ხმოსნებმა, თუ ქალაქისთვის მართლა გული შესტკივათ, დროებით მაინც უნდა დაივიწყონ ჩვეულებრივი ნათელ-მირონობა-ნათესაობა და მოურავის თანამდებობაზე მართლა შესაფერი კაცი მოიწვიონ.

10 ივნისს საკრებულო დარბაზში დრამატიულ დასის არტისტის კოტე ჭელიძეს საბენეფისოდ გაიმართება წარმოდგენა. წარმოადგენენ ისტორიულ პიესას „სამშობლოს“. ს. ლეონიძის როლს შეასრულებს თვით მობენეფისე. ამას გარდა მონაწილეობას მიიღებენ არტისტები აწყურელი, იმედაშვილი და ყიფიძე. კ. ჭელიძე 20 წელიწადია, რაც სცენაზე მუშაობს. ერთ ხანად ტფილისის დრამატიულ დასშიც იღებდა მონაწილეობას, შემდეგ—ქუთაისში, ამ ბოლო დროს-კი—თელავში.

დავიწყებული.

—

ხონი. ადგილობრივ ვაჭრებს არაფერი ემჩნევათ. ისინი კვლავ აღებენ დუქნებს კვირა-უქმე დღეებში. ზოგიერთი ვაჭარ-ხელოსანი ისე გათამამდა, რომ ნორჩ შეგირდებს ცემითაც კი უმასპინძლდება. ან ხანებში მ. რუხაძემ საშინლად სცემა თავის შეგირდს, რომელიც 9—10 წლისა ძლივს იქნება. ცემის მიზეზი იყო შემდეგი: ბავშვს სხეულზე კბენარი დასჯოდა. დამდგარიყო და იფხავდა თურმე. ერთ მეზობელ მედუქნეს შეუნიშნავს ეს და საყვედური უთქვამს მ. რუხაძისთვის—სირცხვილია ბავშვს აგრე უსუფთაოდ ტარებაო. მ. რუხაძეს გული მოხვდია და ეს გულ მოსულობა თავის მცირე წლოვან შეგირდზე ამოუყრია. შემდგარა და არშინით საშინლად უცემია. ასევე იქცევიან ზოგიერთი სხვა მისი ამხანაგებიც. საზოგადოდ ვაჭრები არ შედიან ნოქრების მდგომარეობაში—და ისე ამუშავებენ დამის არის წელში გაწყვეტამდე.

მთელ ხონის ვაჭრებში სამს ვერ ნახავ ისეთს კაცს, რომელიც მონაწილეობას იღებდეს კულტურულ დაწესებულებში. აკვის ფონდის გასაძლიერებლად საღამო იყო და ნაყიდი ბილეთები უკანვე დააბრუნეს. გაიმართა წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა და ხონის ვაჭრებს დიოგენის ფანრითაც რომ ეძებდათ, ვერ ნახავდით.

29 ივნისს გაიმართა ადგილობრივ ბაღში სახალხო სეირნობა. ლატარიაც უნდა გაემართათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. სეირნობა წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ იყო. სეირნობის გამგედ იყო ოლიმპიადა მიქელაძისა. ხალხი სეირნობას ბლომად დაესწრო. როგორც გავიგე, ამ სეირნობიდან შემოსული ფული მოხმარდება ადგილობრივ სამკითხველოს.

ადგილობრივ ბაზრის ქუჩების მოკირწყვლა შარშან ზაფხულში დაიწყეს და რაც შარშან დარჩა, მოუკირწყვლელი ეხლა კირწყლავენ. ფული გაწერილია არა ვაჭრებზე არამედ დუქნის პატრონებზე.

გ. ფახკუნჯი.

—

ოზურგეთი. 2 ივნისი დიდად სამგლოვიარო დღე იყო ოზურგეთისათვის. ამ დღეს ოზურგეთის მცხოვრებლებმა მიაბარეს შავ სამარეს მათი გულშემატკივარი ექიმი გრიგოლ ვასილის ძე ხუნდაძე. ჯერ განსვენებულს კიდევ არა ჰქონდა ფრთები გაშლილი: შარშან დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და აგრეთვე დაიჭირა პროვიზორის ეგზამენი და დაბრუნდა სამშობლოში. მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც დაიმსახურა მან დიდი სიყვარული და პატივის ცემა ხალხისა, რასაც ამტკიცებდა მისი დასაფლავების დღე.

დანიშნულ დროზე მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი განსვენებულის ოჯახში. განსვენებულის კუბოს 17-მდე გვირგვინი ამკობდა: ოზურგეთის თვითმმართველობისაგან, ოზურგეთის ექიმებასაგან და სხვათაგან. 10 საათზე გასვენებული წაასვენეს ოზურგეთის საკრებულო ტაძარში. გზა და გზა გალობდა მოსწავლეთა ხორო სტუდენტ დ. ტიღერაძის თაოსნობით და უკრავდა სამგლოვიაროს სამხედრო ორკესტრი. წირვის შემდეგ მიცვალებული წაასვენეს უქდის წმ. გიორგის ეკლესიაზე. როგორც განსვენებულის სახლში და საკრებულო ტაძარში, ისე აქ წარმოსთქვეს სიტყვები. ყველა ამბობდა, რომ ოზურგეთმა დაჰკარგა საუკეთესო მოქალაქე, ხოლო ახლო-მახლო სოფლებმა—მოკლე გულშემატკივარი ექიმი.

ბევრ რამეს გვპირდებოდა განსვენებული, მაგ. საავადმყოფოს დაარსებას, მაგრამ მუხთალმა ბედმა უმტყუნა და უდროოდ მოსწყვიტა წუთი სოფელს...

ექიმ ხუნდაძის დაკარგვა დიდი დასაკლისია ოზურგეთისა და ახლო-მახლო სოფლელთათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო პატიოსანო ადამიანო!

გრ. გ—ლი.

ოსმალეთი

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მანიფესტი.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა მანიფესტი გამოსცა სომხების შესახებ. მანიფესტში ნათქვამია, რომ სომხები-ოსმალეთის იმპერიის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიანო („ბ.“)

ალატინის ვილას შეძენა.

ოსმალეთის მთავრობამ ნახევარ მილიონ ფრანკად საკუთრებად შეიძინა ალატინის ვილა, სადაც აბდულ-ჰამიდი ცხოვრობს. აქედან ჩანს, რომ აბდულ ჰამიდს სალონიკიდან სხვაგან გადაყვანას აღარ უპირებენ. იგი, ალბად, თავის სიცოცხლეს დაჰლევს ამ ვილაში.

აბდულ-ჰამიდის ფული.

„გოლ. მოსკვი“-ს კორესპონდენტი იუწყება სტამბოლიდან: „30 ივლისს, აბდულ-ჰამიდის მიერ ხელმოწერილ საბუთების ძალით, უცხოელთა ოთხი ბანკის დირექტორებმა აბდულ-ჰამიდის ფული ჩააბარეს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებს.

რეაქციონერების ბოროტი განზრახვა.

ბეირუთში (სირიაში) ოსმალეთის გემზე დაატუსაღეს სამი წევრი რეაქციონურ კავშირის „იტიად-მუხამედი“-სა. მათ უპოვეს 600 თოფი და დიდძალი ასაფეთქებელი მასალა. ჰფიქრობენ, რომ რეაქციონერები უწესოებას ამზადებენ 11 ივლისისთვის—რევოლიუციის წლის თავისთვისო.

გზებისთვის ფულის გადადება

ოსმალეთის საზოგადო სამუშაოთა სამინისტრომ 30,000 ლირა გადადვა სტრატეგიულ გზების გასაყვანად ადრიანოპოლის ვილაეთში.

ჭეშმარიტ რუსთა კავშირი და ქართველი სტუდენტობა *)

მეორე საკითხი შემდეგი იყო:

—როდის ჩაეწერეთ ჭეშმარიტ-რუსთა კავშირში?

დგებუაძე აქაც ეცადა, თავი დაეხწია, მაგრამ როდესაც მეორედ დაუსვეს კითხვა, დგებუაძემ ხმა-მაღლა და გარკვეულად განაცხადა, რომ მე ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩავეწერე 1908 წელსაო. თვე კი არ დაუსახელებია და არც ის უთქვამს, შეცდომით ჩაეწერა კავშირში, ბ-ნი ბელქანია კი თავის წერილში ბრძანებს, „ამ წლის იანვრის თვეში რაღაცა შეცდომით შეიქნა დგებუაძე წევრი ჭეშმარიტ რუსთა კავშირისაო“. სწორედ ამაზე იტყვიან, „ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ომის ამბავს ახვედრებდაო“. დგებუაძე ამბობს, ჭეშმარიტ რუსთა კავშირში 1908 წელს ჩავეწერეო, ვექილი ბ-ნი ბელქანია კი გვარწმუნებს, დგებუაძე ამა წლის (1909 წ.) იანვრის თვეში ჩაეწერაო. საინტერესოა ბ-ნ ბელქანიას კალენდრის გაცნობა! დგებუაძე თავის მოქმედებაში არავითარ შეცდომას არა ჰხედავს. სასამართლოში ერთი კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ. ბ-ნი ბელქანია კი ძალიან მაცხონეს როლს თამაშობს და **„რაღაც შეცდომით“** ხსნის დგებუაძის მოქმედებას. ჭეშმარიტად, „бумага все терпитъ“. უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე ბ-ნი ბელქანია გვაუწყებს, რომ მესამე კურსის სტუდენტი **შეცდომით** ჩაეწერა ჭეშმარიტ რუსთა კავშირშიო. არა ბ-ნო! შეცდომით ბევრნაირი მოვლენა შეგიძლიანთ ახსნათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩაწერა. მართალი მოგახსენოთ, ეს ვერაფერი ვექილობა მიგიღიათ. შეიძლება კაცი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს რომ არ იცოდეს ამა თუ იმ პარტიის მიმართულება. საშუალო სასწავლებლის უმცროს კლასის მოსწავლეებმაც კი იციან ახლა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მიმართულება. თქვენ კი ამბობთ, დგებუაძე შეცდომით შევიდა კავშირშიო; გამოდის, რომ დგებუაძეს არავითარი წარმოდგენა არა აქვს „ჭეშმარიტ რუსებზე“. თამამად შეგვიძლიან დაგარწმუნოთ, ბ-ნო ბელქანია, რომ დგებუაძე არც იმდენად გონება-შეზღუდული ყმაწვილია, რომ არ იცოდეს ჭეშმარიტ რუსთა კავშირი რას წარმოადგენს და საით მიექანება.

სხვათა შორის თქვენ სწერთ, რომ „დგებუაძეს არა ჰქონია აზრად ვისმესთვის ზიანი მიეყენებინაო“, და ამას ამტკიცებთ იმით, ვითომ დგებუაძემ „თავის ჩვენებით ხელს უწყობდა ყველას გამართლებასაო“. ესეც სიცრუეა. დგებუაძემ პირდაპირ დაადო ხელი ოთხს და სთქვა, ესენი არიან ავტორები ამ ფურცლისა, დანარჩენები კი ამ ფურცლის შედგენასა და გავრცელებაში იღებდნენ მონაწილეობასაო, და მოითხოვა, ყველანი დაისაჯათ. შედეგი ასეთი ჩვენებისა ის იყო, რომ ოთხი გაამართლეს და ექვს კი შენიშვნა მისცეს, ეს არ ნიშნავს ყველას გამართლებას, როგორც თქვენ ბრძანებთ. მართალია, საქმე გადააფუჩეჩეს; ისიც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ადგილობრივ გაზეთებში ერთი სიტყვაც არაყოფილა ამ საქმის შესახებ, და ეს იმიტომ, რომ თავმჯდომარეს ნათქვამი ჰქონდა არავისთვის არაფერი არ ეთქვა....

რაც შეეხება თქვენის მხრით ქართველ „ზემლიაჩესტვოს“ გამგეობის წინააღმდეგ გალაშქრებას, უმსგავს ანალოგიას, საერთოდ ქართველ სტუდენტების წინააღმდეგ გალაშქრებას და კერძოდ ზოგიერთ მოპასუხისა—ამაზე პასუხის გაცემა სულ მეტად მიმაჩნია. არავინ ჩვენგანი უცოდველი არ არის. მაგრამ ეს თქვენთვის ცოტა ნუგეშია. ფაქტი ფაქტად რჩება და ეს გარემოება სავსებით აბათილებს როგორც თქვენს იერიშს ოდესის ქართველ სტუდენტების მიმართ, ისე თქვენ ყალბ ვექილობას.

დიახ, დიდი სიამაყე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ყველა ზემონათქვამის შემდეგ გამოვიდეს და გაზეთის ფურცლებზე ბ-ნ ბელქანიასებრ ითარეშოს. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, რომ „nie nouisub sole“ და მეც ამით ვნუგეშობ.

გ. გაბუნია.

ევნატე ნინოშვილის

ძეგლის ასაგებად.

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო:

ს. ჯაფარიძესაგან ქუთაისში გამართულ იაფ-ფასიან ლექციის წმინდა შემოსავალი 20 მ. 65 კ.

„ჩვენი აზრის რედაქციისაგან 25 მ. 10 კ. შემომწირველთა სია უკვე იყო დაბეჭდილი (№№ 35, 39 და 42).

ბათუმიდან მიხაკო კალანდამისაგან და მეგლამის მიერ მეგროვილი—20 მ. 10 კ. შემომწირველთა სია. მათე რუსიძე—1 მ., ეგ. იმნაძე—1 მ., ივ. აბდუშელიშვილი—50 კ., მეხ. სანაძე—50 კ., ვ. აზაბაძე—50 კ., დომ. ვადაჭკორია—1 მ., ელ. გურულისა—1 მ., იოსებ მაისრაფეშვილი—1 მ., ან. მაისრაფეშვილისა—50 კ., ელ. ძამამიხო—1 მ., ხალ. ძამამია—1 მ., იოსებ კარანაძე—50 კ., ეგ. გეგეშიძახა—1 მ., ნეს. ლეჟავა—40 კ., ივ. პოპაყვაძე—1 მ., რაჟდ. სანაძე—50 კ., აქვს. ბაბულიშვილი—20 კ., ხილ. მეჯიძი—50 კ., ელ. ფირალოვი—50 კ., ამგაკო კვაჭაძე—1 მ., დომ. სალუქვაძე—1 მ., მიხ. ზარამიძე—50 კ., მეხ. ქათამაძე—50 კ., ილა მამამიძე—50 კ., გიორგი ბაბაევი—50 კ., მიხ. მეფარიშვილი—50 კ., არსენ კვაჭანტირიძე—50 კ., იასონ სიტრიძე—1 მ.

სად. ერევნის და ულუხანის ქართველ მომუშავეთა შორის შეგროვილი—18 მ. 14 კ.

შემომწირველთა სია: ს. გორდელაძე, ი. ღუმბაძე, ვ. დოლიძე, ს. გიორგობიანი. ათ-ათი მაური: ნ. ჩიგოგიძე, ნ. მარჯანიშვილი ვ. კონჩაძე, ნ. ეჯიბაძე, ლ. ქასრაშვილი, ა. ჯაფარიძე. ვ. ტოგონიძე, ა. ხავხასია, ლ. ახვურავა, გ. მგელაძე, ი. მგელაძე, პოგვილი, გ. ჩარკვიანი, თ. შენგელია, პ. ნარემელაშვილი, გ. პერიძე. ორ-ორი აბაზი: ნ. მგელაძე, ვ. ახვურავა, ს. ჩიხლაძე, ვ. პარდაგელიძე, გ. პირცხელაური; ექვს-ექვსი მაური: პ. გოცირიძე, ლ. ანთელიძე, ა. ძაგანია, ჯაფარიძე, პ. ცქიტიშვილი, ი. ცაგურია. თითო აბაზი: უ. მჟავანიერაძე, ი. ტავაძე, ვ. ბაქრაძე, ი. ჯაფარიძე, ა. ალხაზაშვილი, ან. ფოფაიშვილი. სამ საჰი მაური: ბაბლიძე, რ. მენველია, ი. ფხაკაძე. ორ-ორი მაური: ა. მუსხელიშვილი და ა. ნამგალაური, გ. ხეჩიშვილი—9 კ.

სულ 83 მ. 99 კ. დღემდე იყო 1357 მ. 52 კ.; შედგა 1441 მ. 51 კ.

ამით პატივი გვაქვს ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ გლეხთა მევენახეთა [illegible] ამხანაგობის „კახეთი“-დან მდგომარე წლის 20 თიბათვეს [illegible] სრულიად ამხანაგობიდან: ს. ზუკაკიშვილი, მ. ზუბიტაშვილი, დ. ბეჟიაშვილი, ი. ტოგონიძე, ზ. ამისურაშვილი, გ. ხოსიტაშვილი და ზ. მჭედლიშვილი, ხოლო ი. რამიშვილი გავიდა ამავე წლის პირველსა და 5 მაისს ყოფილი საზოგადო კრების დადგენილებით და დღეიდან ამხანაგობის ღვინის ვაჭრობის ყოველი საქმე და წარმოება გადაეცა ამხანაგებს ალექსი ხუბაშვილს და ალექსანდრე თვალიაშვილს. ხოლო ამ ორთ, ხუბაშვილმა და თვალიაშვილმა, 24 თიბათვეს ამა წლისა, გადასცეს ამხანაგობის ღვინით ვაჭრობის ყოველი ჩაქმე და წარმოება ამხანაგსავე მიხეილ ყოდალაშვილს, რომელმაც იკისრა, როგორც ღვინით ვაჭრობის გამგეობა, ისე განაჩენში მოხსენებული ყველა მოვალეობის გასტუმრება.

გამგეობის ყოფილი წევრნი: **ალექ. ხუბაშვილი, ალექსანდრე თვალიშვილი, სვიმონ ზუკაკიშვილი.**

განცხადებანი

◀ სიკვდილი ▶
ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—3)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—83)

ბაღი-რესტორანი
◀ ამხანაგობის ▶
„იშანე“-ში

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაგ.—24)

კანტორა და საწყობი
„სპერმატინისა“
და
„ალმეზისა“
გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—5.—11) **ი. ახობაძე.**

ამხ. „სორაპნის“ გამოცემა
◀ „ახალი ჩანგი“ ▶

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განმრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად ვცანით. ამიტომ „ახალი ჩანგი“ გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვინეტკა განგებ „ახალი ჩანგისათვის“ ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კაპ., **ვისაც 25 კაპეიკი გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კაპ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კაპ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის“ კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კაპ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველად შემოტანილი ფული 25 კაპ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მათ თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი“ დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის“ კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოკარაყებულის წარწერებით. ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კაპ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კაპ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს ხელ 50 კაპ.

«ახალი ჩანგი» ცალკე გასასყიდადაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კაპ.
ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს“.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ т-во „Сорапанъ“ М. Гачечиладзе. (7—6.—

Высшая награда
за превосходную конструкцію и отдѣлку швейныхъ машинъ
Швейныя машины „Кайзеръ“
Вязальная
машина

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6.—51)

ოკის მახლობლად რკინის გზაა გაყვანილი.

ვიდექ არეზის პირად. ფიქრმა შორს გამიტაცა, წყლიშის მსგავს მთამ გადაიარა, გაყვა თავრიზის გზატკეცილს*) და შიგ თავრიზში ამოჰყო თავი. იქიდან თვალის დახამხამებაზე მთელი სპარსეთი შემოირბინა. თვალ წინ წარმომიდგა შედარებით მცირე გუნდი თავგანწირულ მებრძოლთა, წესიერების, კანონიერების და მართლ-მსაჯულების დამყარებისათვის და უამრავი ხალხი, დატანჯული მტარვალ მთავრობისაგან. „საწყალი ხალხი, უბედური ხალხი“, წავიბუტბუტე.

„შენ სწორედ ანდაზასავით მოგდის: კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო,—გამიელვა აზრმა,—სპარსელებს რომ ჰგლოვობ, ერთი შენ გარშემო მიმოიხედე. ირგვლივ მინდორი ქაჩალი ბალახ-ბულახით, შუა საურმე, მოუკირწყლავი გზა. აგერ იქ, რამდენიმე სახლი სასტუმროდ წოდებული, რომლის პატრონი როსკიპ ქალებისაგან მოელის გამდიდრებას. ფიქრი გაჰყვა ჩრდილოეთის მხარეს. ბევრი მთა, მინდორი; ქალაქი და სოფელი გადაირბინა, მაგრამ სანუგეშო ვერსად ვერა ნახა რა. ყველგან შიმშილი, ტანჯვა და წამება, ყველგან ჩაგვრა და უსამართლობა. აქაც სიბნელე და უმეცრებაა გამეფებული.

ვიდექ არეზის პირად. ჩემ თვალ წინ რაღაც მოშაო ფრთოსანმა დაიფრთხიალა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, თავისუფლად გააპო ჰაერი და მდინარე არეზი გადასჭრა. ერთ წამს ისევ უკან მობრუნდა, თითქო რაღაცას ეძებსო, გამოღმა ნაპირზე ხან აქ დაფრინდებოდა, ხან იქ, მერე ისევ აფრინდა, ისარივით გაეშვა გაღმისკენ და ცის სივრცეში ნელ-ნელა დაიკარგა. „რა დიდი განსხვავებაა ჩემს და ამ პატარა ფრინველ შორის ამ წუთში,—უნებლიედ მომდიოდა ფიქრი.—მე გამოღმა დგომისაც მეშინიან, ყოველ წამს მოველი, აი მოვა ვინმე და მეტყვის: „აქ რას უდგეხარ, ვინა ხარ. აბა შენი პასპორტი, აქ დგომა აკრძალულია, წადი აქედან. კიდევ კარგი, თუ ამას დაგაჯერა, ხელი არ გტაცა და ვირის აბანოში თავი არ ამოგაყოფინა. ჩიტუნა კი უშიშრად გაღმაც გაფრინდა, როცა მოუნდება გამოღმაც გადმოფრინდება“.

ვიდექ არეზის პირად. მდინარე ჩვეულებრივ მიდუდუნებდა. მისი ამღვრეული ტალღა ერთგვარად სცემდა ორივე ნაპირს, გაღმაც და გამოღმაც. ბუნებით არავითარი განსხვავება არ იყო ამ ორ ნაპირს შორის, მაგრამ ძალის მქონე ადამიანს კი ხელოვნურად, საზღვრად გაუხდია იგი, აქეთ ნაპირზე დარაჯები დაუყენებია, ჩემ უნებურად გაღმა გასვლა არავინ გაჰბედოს. რატომ, რა განსხვავებაა გაღმა-გამოღმას შორის? იქაც შარიატი, აქაც შარიატი, თავისუფალი მიმოსვლა რად არ უნდა იყოს?

—ჰერი ჰა! შენ საით წამოსულხარ!—მომესმა ჩემის თანამგზავრის ხმა,—კაცო, საცაა მატარებელი დაიძვრის, შენ კი აქ ოცნებობ!

—გაღმაც შარიატი, გამოღმაც შარიატი!—მივუგე მე.

—ვა. ხომ არ შეიშალე, საცაა მეორეს დარეკენ, ჩქარა წამო!

წავედით სადგურისკენ.

უბარალო.

---

*) იხ. „დროება“ N 147.

*) თავრიზის გზა-ტკეცილი რუსების მიერ არის გაყვანილი.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.